წელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | ხუთშაბათი, 1917 წ. თიბათვის 22 (4)

# საქართველო

ხელნაწერი მოწერა და ... გამოქვეყნებული განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები უკან არ იგზავნება; ... მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე № 4.
ფოსტის მისამართი ... : Тифлисъ ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ღირს 30 კ., ... 20 კ., ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირებს 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ერთ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 134 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 134

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

ქართველი გრენადიორები ავტონომიას მოითხოვენ.

სოციალ-დემოკრატების ყრილობამ ნ. ჟორდანიას ეროვნული პროექტი მიიღო.

ქართლ-კახეთის მეცხვარეებმა ეროვნული კავშირი შეჰკრეს.

მთავრობა სთხოვს უკრაინას დაუცადოს დამფუძნებელ კრებას.

სახელმწიფო სათათბიროს წევრები წინააღმდეგი არიან სათათბიროს გაუქმების.

უპურობის გამო როსტოვში არეულობაა.

რუსის ჯარი განაგრძობს შეტევას, გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ.

საფრანგეთის ფრონტზე გერმანელების ცხარე იერიშებია.

### წერილები

მეთაური: გლეხთა ყრილობის გამო.
გერონტი ქიქოძე: „ბოლშევიკები".
ტიტე ტაბიძე: პეტერბურგი.

### პარტია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობის დადგენილებანი.

ქართველ მსროლელთა პოლკის ოფიცრობა
გულის ტკივილით აცნობებს საზოგადოებას, რომ ქურთისტანში (სპარსეთში) თიბათვის 8 ს ბრძოლაში მტრისგან მოკლული იქმნა ძვირფასი ამხანაგი, ოფიცერი
გრიგოლ სილიბისტროს ძე
გოცირიძე
რომლის ცხედარიც მოასვენა სამშობლოში იმავე პოლკის ადიუტანტმა, დიმიტრი სოფრომის ძე ალაძემ. მიცვალებული დაკრძალული იქნება სოფ. სორში, რაჭის მაზრაში, თიბათვის 24
3—683—1

ღრმად დამწუხრებული მამა იოსები (სოსო) ძმა ბესარიონი (ბესო), ძალუა ეკატერინე (ქალკა) ფოთოლაშვილები და სიძე სამსონ ბიძინაშვილი მეუღლით ნინათი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ქართული პოლკის ჯარის კაცის საყვარელ
ლადო იოსების ძე
ფოთოლაშვილის
ბრძოლის ველზე გარდაცვალებას.
წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება თიბათვის 23 სოფ. მჭადიჯვრის (დუშეთის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე.
1—689—1

კომიტეტი
ქართველთა სამხედრო კავშირისა
მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახაბლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.
10—740—1
კომიტეტი ქ. ს. კ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ნაძალადევის კომიტეტი
აცხადებს, რომ ამ უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა
საერთო კრება
გაიმართება
ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს,
საღამოს 7 საათზე, საეკლესიო სკოლაში, პარტიულ პროგრამისა და მიმდინარე საკითხების გასარჩევად.
—681—

საუკეთესო საწერი
„მელანი"
ალიზარინის ფერისა, დაგამზადე და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ. 1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სიროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჭანჭყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.
მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.
6—741—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე
1917 წლ. ჩვენი ქვეყანა 1917 წლ.
გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.
რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი დ. კვირკელია.

მაისის 7 დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი
„ჯარის კაცი"
გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци". Почтовый ящикъ № 190
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.
10—740—1
რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. ი. მარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეჟლინსკის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალი
ე. ივ. გალარჯიშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

დოსტაქარი მეფისმსახური
კონსტანტინეს ძე
კალანდარიშვილი
ფუშკინის ქუჩიდან გად. კოლეგიის ქუჩაზე.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს იღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სხვადასხვა ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## თბილისი, თიბათვის 22.

### გლეხების ყრილობის გამო

მთავარი ყურადღება ჩვენი ქვეყნისა ამ ჟამათ მიქცეულია გლეხების ყრილობაზე. ეს ასეც უნდა იყოს. გლეხი მიწის მუშა, დაბადებიდან სიკვდილამდე შრომის უღელში შებმული, მიწით სუნთქავს და მიწითა და მისი ნაყოფით ასაზრდოებს თავს, ერსა და სამშობლოს.

იმ საქმეთა შორის, რომელთ შესახებ თავის აზრი უნდა გამოთქვას ამ ყრილობამ, უპირველესი არის მიწის საქმე. დღემდის, დღესაც და ახლო მომავალშიც მიწა იყო, არის და იქნება უპირველესი წყარო ჩვენი საერო შემოსავლისა და საერო დოვლათისა.

თუ მიწა მიწის მუშის ხელში არ იქნა, ჩვენი ქვეყანა, აწინდელ და ახლო მომავლის რთულ გარემოებათა გამო, დაიმშევა და გადაშენების გზას დაადგება. მას ვერ იხსნის მაშინ ვერავითარი თეორიები და თეორიის კაცების პროგრამები და პროპაგანდა.

როგორც სარწმუნოება თვინიერ საქმისა, ისე მიწა არა მიწის მუშის ხელში მკვდარია, და უპირველესი მოთხოვნილება ახლანდელი დროისა ყოვლის ეჭვს გარეშე მიწის მფლობელობის საქმის მოწყობაა ცხოვრებაში, ცოცხალ მიწის მუშების თავისუფალი აზრთა და ნების ყოფით მოსაზრებული, გადაწყვეტილი და მიღებული.

მიწის მუშასავით, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი მუშა, არავინ იცის მიწის ფასი და ყადრი, მიწის მუშასავით უფრო სინამდვილით, ცხოვრების საჭიროებაზე ზედ გამოჭრილათ ვერავინ მოაწყობს მიწის მფლობელობის წესს.

ხოლო მიწის მუშის აზრსა და ნების ყოფას არავინ უნდა ატანდეს ძალას არც ფიზიკურათ და არც ფსიხოლოგიურათ, და კიდევ უფრო არც პარტიული ვიწრო, სხვათა ცხოვრების წიგნებიდან ამოღებული დოგმებისა და აზრების მიხედვით.

მიწის მუშების ოთხმოცდათვრამეტ პროცენტს საქართველოში გლეხები შეადგენენ. მაშასადამე იმათი აზრი ამ საქმეში იქნება გადამწყვეტი მნიშვნელობისა და სავალდებულო გახდება სხვა წოდებათა მუშებისთვის.

ამ დადგენილებას, გვგონია, არავინ შეედავება.

შეუდავებელია მხოლოდ ის, რომ პარტიები თავის ქოქში არ ეტევიან დღეს, და უნდათ გლეხებს დააძალონ თავიანთი აზრი და შეხედულება მიწის მფლობელობაზე, და მართალ შეხედულებათ და გლეხთათვის საჭირო წესათ მიწის მოწყობისათვის აცხადებენ მხოლოდ იმას, რაც მათ პარტიის პროგრამებში ქაღალდზე უწერიათ.

ყველას აქვს უეჭველი უფლება ყველაფერზე თავისი შეხედულება იქონიოს და სხვასაც ურჩიოს, ხოლო ასეთს დიდს ისტორიულს მომენტში არავინ არ უნდა იკადროს ასეთს დიდს საქმეში, როგორიც არის მიწის მოწყობის საქმე, თავისი აზრი დააძალოს სხვას, ამ შემთხვევაში გლეხს.

თვითონ ცხოვრების გარეშე თავისას და მათ მ ჯავრს დასდებს თუ რომელი პარტიის პროგრამა უფრო შეეფერებოდა სინამდვილეს და რომელს მათგანს უფრო ჰქონებია ცხოვრების ალღო აღებული.

### ბოლშევიკები

დასავლეთის ფრონტზე რუსის ჯარმა შეტევა დაიწყო კიდეც და დღეს თუ არა ხვალ გვეცოდინება ამ შეტევის ნამდვილი შედეგებიც. ინგლისის პრესამ კერენსკის რუსეთის რევოლიუციის გარიბალდი უწოდა. მოკავშირეები იმედოვნებენ, რომ კერენსკი გათიშული რუსეთის შემოკრებას შეძლებს, როგორც ერთს დროს გარიბალდიმ დაქსაქსული იტალიის გაერთიანება შესძლო. თუ რუსის ჯარმა გაიმარჯვა, გათიშული ქვეყანა მართლაც გაერთიანდება: ის გაერთიანდება ახლანდელი ლიბერალურ-სოციალისტური მთავრობის გარშემო, ეს გარემოება კი საბოლოოდ უზრუნველყოფს ზომიერ ან უკეთ ვსთქვათ რეფორმისტულ რევოლიუციას.

მაგრამ რა მოხდება თუ რუსის ჯარი დამარცხდა? რუსეთის რევოლუცია ყოველს წუთში მოულოდნელს სახეს გვიჩვენებს და დღეს განსაკუთრებით ძნელია წინასწარმეტყველობა. მაგრამ შესაძლებელია რომ თუ რუსის ჯარის შეტევა უკუქცეულ იქმნა, რუსეთის შინაგანი გათიშვა დამთავრდება და ცოტა ხნით მაინც მთელს ქვეყანას სათავეში ჩაუდგება ის პოლიტიკური პარტია, რომელიც იმ თავითვე წინააღმდეგი იყო შეტევისა. ეს ეგრეთ წოდებული მეუმრავლესეების ანუ ლენინისტების პარტიაა. სარწმუნოა, რომ რუსის ხალხის უდიდესი ნაწილი ამ ადამიანებს არ გაჰყვება. მაგრამ რევოლუციური დიქტატურისთვის უმრავლესობა როდია საჭირო. როგორც ფრანგი იაკობინელების მაგალითმა დაამტკიცა, დიქტატურისთვის საკმაოა მჭიდროდ შეკავშირებული და ენერგიული უმცირესობა, გულგრილ და შეუკავშირებელ ხალხის მასაზე დაყრდნობილი. რუსის ლენინისტებმა შექმნეს კიდეც ასეთი უმცირესობა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მთელი რუსეთი საოცარი სისწრაფით გაიმიჯნა. ერთი მხრით დადგა ლენინისტების ანუ მეუმრავლესეების პარტია, მეორე მხრივ დანარჩენი ლიბერალურ-სოციალისტური დემოკრატია.

ამ ივნისისთვის მეუმრავლესეებს განზრახული ჰქონდათ თავიანთ ძალების დემონსტრაცია მოეხდინათ. ეს დემონსტრაცია არ შესდგა. აღმოჩნდა რომ მეუმრავლესეებს ჯერ კიდევ ძალა არ შესწევთ კოალიციური დროებითი მთავრობის დასამხობათ და მართვა-გამგეობის ხელში ჩასაგდებათ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი ცდა არ განმეორდება. ამ უკიდურეს რევოლუციონერებს დიდი მოკავშირეები ჰყავთ: შიმშილი, კრიზისი, უკმაყოფილება. თუ ამას ჯარის დამარცხება და მტრის მუქარაც დაერთო, მეუმრავლესეების გავლენა გაიზრდება და შეიძლება დროებითმა მთავრობამ ვეღარ გაუძლოს მათს სასტიკ იერიშებს.

ასეთი პერსპექტივის წინაშე დაფიქრება გვმართებს. ვინ არიან ე' ადამიანები და რა სწადიათ მათ? თავიანთ თავს ისინი მართლმორწმუნე მარქსისტებს უწოდებენ. მაგრამ ეს სახელწოდება მათ ხასიათს სრულიადაც არ ნათელჰყოფს. დღეს მთელი ქვეყანა მართლმორწმუნე მარქსისტებისაგან შესდგება, ყოველს ორს რუსში ერთი „კაპიტალისა" და „კომუნისტურ მანიფესტს" ფიცულობს. რეალური პოლიტიკისთვის ამას დიდი აზრი როდი აქვს. როგორც უკანასკნელი დროის მოვლენებმა დაგვიმტკიცა ადამიანის პრაქტიკული მოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მის დოგმებს ან თეორეტიულ იდეებს, არამედ მის ტემპერამენტს, ინსტინქტებს და ინტერესებს. რუსეთის მარქსისტული სოციალ-დემოკრატია ხუთს თუ ექვს ფრაქციათ გაიყო და რეალურად ამ ფრაქციებს შორის უფსკრული გაითხარა. რა არის საერთო პლეხანოვსა და ლენინს შორის? პირველი მომხრეა დაპყრობითი ომისა, იმპერიალისტების მსგავსად ის ანექსიისა და კონტრიბუციისათვის ოცნებობს; მეორე გერმანელი და რუსის ჯარის დაძმობილებას ჰქადაგებს. რაა საერთო წერეთელსა და ტროიცკის შორის? პირველი კოალიციურ სამინისტროში ზის ლიბერალებთან ერთად, მეორეს ჰგონია რომ რევოლუციის ხსნა სოციალისტური სამინისტროს შედგენაშია. ყველა ესენი თითქო მარქსისტები არიან: მაგრამ პრაქტიკულად ზოგიერთი მათგანი კადეტებს უდგას გვერდით, ზოგიერთი სოციალისტ-რევოლუციონერებს, ზოგიერთი კიდევ ანარქისტებს. და ერთმანეთს სრულიად გულწრფელად რევოლუციის ღალატსა და გაყიდვას აბრალებენ.

მეუმრავლესეებისა ანუ ლენინისტებისთვის დამახასიათებელია არა მათი მარქსისტული მრწამსი, არამედ მათი ბრძოლის მეთოდი და მათი რევოლიუციური ფსიხოლოგია. მათ ახალი და თავისებური ელემენტი შეიტანეს რუსეთის რევოლუციაში. მათ შესძლეს ილუზიების გაღვიძება, რაიცა დიდათ საჭიროა ფართო მასის ასამოძრავებლად. და ამ ხალხთან სალაპარაკოთ მათ გამოსძებნეს მარტივი კატეგორიული ენა, რომელიც რევოლუციის დროს ყოველთვის უფრო მოქმედობს ვიდრე რთული ფილოსოფიური დიალექტიკა.

თითქმის ყველა პოლიტიკური მიმართულება გარდა ლენინიზმისა დღევანდელ რუსეთის რევოლუციას ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რევოლუციად სთვლის. ეს გარემოება ენტუზიაზმს ანელებს და ოცნებებს ჰფანტავს. მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას შეეძლო ცეცხლისმფრქვეველი ენერგიისა და აღფრთოვანების გამოწვევა: იმ დროინდელ მოღვაწეებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი ბრძოლა და მათი თავდადება ბედნიერებას მოუტანდა მთელს კაცობრიობას. მეოცე საუკუნეში ბურჟუაზიულ რევოლუციას აღარ შეუძლია ასეთი აღფრთოვანების გამოწვევა; დღეს ბურჟუაზია უფრო იმედმიხდილია, მუშათა კლასი უფრო სკეპტიკური, რაიცა,

სხვათა შორის, წლების სიმძიმითაც აიხსნება. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მთელს საუკუნეზე მეტმა განვლო და ეს საუკუნე იმედის გაცრუებით იყო აღსავსე.

მუშათა კლასთან მეუმრავლესეები ახალი სიტყვითა და ახალი რწმენით მიდიან. ისინი ამბობენ, რომ რუსეთის რევოლუცია არ არის ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რევოლუცია, როგორიც მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო: ის სულ სხვა საერთაშორისო პირობებში ხდება. თვით რუსეთი უკან ჩამორჩენილია ეკონომიურად, დამოუკიდებლად მას არ ძალუძს სოციალიზმის დამყარება; მაგრამ მას აკრავს დაწინაურებული მეზობლები, რომელთაც სრული განადგურება მოელის თუ ახლავე კაპიტალიზმის უღელი არ მოიხსნეს: ეს ქვეყნებია გერმანია და საფრანგეთი. რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას შეიძლება სოციალისტური რევოლუცია მოჰყვეს დასავლეთ ევროპაში, ეს სოციალისტური რევოლუცია თავის მხრივ გამოხმაურებას გამოიწვევს რუსეთში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ ჩვენი თაობა მოწმე გახდება დიდი სოციალური გარდაქმნისა, რაიცა ახალს სახეს მისცემს კაცობრიობას.

ხალხის ფართო წრეებს რელიგიური გრძნობა ყოველთვის უფრო ბღელვებს და ამოძრავებს, ვიდრე ფხიზელი მეცნიერული ანალიზი. ამაშია მეუმრავლესების გავლენის საიდუმლოება. მაგრამ მეუმრავლესეები მოქმედებენ არა მარტო თავისებური ილუზიებით, არამედ თავისებური ლოგიკითაც როგორც დანარჩენი სოციალისტები, მეუმრავლესეებიც უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის იდეას ემხრობიან. მაგრამ დანარჩენი სოციალისტების წინააღმდეგ შეტევის საჭიროებას უარყოფენ. ისინი ამტკიცებენ, რომ შეტევითი ომი არსებითად იგივე დაპყრობითი ომია, დაპყრობითი ომს კი უფრო გარკვეული მიზნები უნდა ჰქონდეს, ვიდრე უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი. ამას გარდა ვინც ანექსიის წინააღმდეგია, ის ანექსიას ყოველთვის და ყოველგან უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არა ერთს დროს და ერთს ადგილას. ვინც ელზას ლოტრინგის განთავისუფლებას მოითხოვს, ინგლისი და საფრანგეთის ახალშენებისა და რუსეთის ჩაგრული ერების განთავისუფლებაც უნდა მოითხოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი თავგამოდება უბრალო ფარისევლობა იქნება.

ყველაზე მგრძნობიარე და სახიფათო ადგილი მეუმრავლესეების პოლიტიკაში მათი სოციალისტურ-ეკონომიური პროგრამაა. აქაც მარტივი ლოგიკის გზას მისდევენ. ისინი ამტკიცებენ რომ რუსეთის რევოლუცია ვერ დაკმაყოფილდება მსხვილი მიწათმფლობელობის კონფისკაციით. მემამულეს მიწა უნდა ჩამოერთვას, კაპიტალისტს მოგება. მეთვრამეტე საუკუნის იაკობინელებმა არ უნდა მიმართონ გილიოტინას. ეს უაზრო წაბაძულობა იქნებოდა. მაგრამ მათ უნდა დაატყვევონ ასიოდე პლუტოკრატი და ბანკას ტუზი, მთელი მსხვილი წარმოება კი მუშათა კლასის ზედამხედველობის ქვეშ მოაქციონ. ეს წარმოება ბოლო დროს ომის მოგებით საზრდოობდა. მთელ ქვეყანას უფლება აქვს უკან დაიბრუნოს ეს უსამართლოდ მითვისებული სიმდიდრე.

სწორხაზიანი რევოლუციური ლოღიკა დაჰღუპავს ამ ხალხს, როგორც ერთს დროს ფრანგის იაკობინელები დაჰღუპა. მათივე აშკარად გამოთქმული სურვილის წინააღმდეგ ძალმომრეობა მათი იარაღიც იქნება და მათი ბედისწერაც. ისინი ოცნებობენ მთელი კაცობრიობის გაბედნიერებისთვის. მაგრამ რუსეთის უკულტურობა მძიმე ტვირთივით დააწვება და შეაჩერებს მათ აღმაფრენას. მათ დიქტატურას ალბათ კონტრრევოლუცია მოჰყვება. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, ისინი მოღალატეებათ და პროვოკატორებათ გამოგვეცხადებინა, როგორც ზოგიერთი მოწინააღმდეგენი აჩადიან. მათი ბედი თუ უბედობა იმაშია, რომ მათს ბუნებაში ოცნების სიცხოველე სჭარბობს ჩვეულებრივს ზომას. მაგრამ ამ ნაკლს მეუმრავლესეები ალბათ საკუთარი სისხლით გამოისყიდიან.

გერონტი ქიქოძე.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**რუმინეთის ფრონტი.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** თიბათვის 15 გერმანელთა „ცეპელინ“-მა ქალ. ვენდენში 12 ყუმბარა ჩამოაგდო. სოფ. სავიჩის რაიონში გერმანელებმა ჩვენი ერთი მფრინავი ჩამოაგდეს. ზედ მყოფნი დაიხოცნენ—კაპიტანი შნორრი და პორუჩიკი კულიკოვსკი. გერმანელმა მფრინავმა ბარათით შეგვატყობინა, რომ მათ ზურგთ უკან ჩამოვარდნილ ჰაეროპლანზე თიბათვის 15 დახოცილნი: შტაბსკაპიტანი ბედზილოვიჩი და უნტერ-აფიცერი კალგინი სამხედრო პატივისცემით დაუმარხავთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** თიბათვის 16. ოფიციალი. წუხელის მტერი კონტენდე-კრუაზილის რაიონში ჩვენ პოზიციებს თოფს უშენდა.

**მფრინავთა მოქმედება.** თიბათვის 9. ჩვენმა მფრინავებმა ოსმალთა გემს ყუმბარა დაუშინეს. თიბათვის 12 ოსმალთა მფრინავნი უშედეგოდ უშენდნენ ჩვენ ბანაკს. ტიგრიტში ოსმალთა ბანაკს ინგლისელ ავიატორებმა თიბათვის 13-ს 24 ყუმბარა ესროლეს.

**ლონდონი.** თიბათვის 18. ოფიციალი. ლენსის სამხრეთით და მდინარე სუშეს სამხრეთ ნაპირზე წუხელ ჩვენებმა შეტევის შემდეგ მტრის თავდაცვისათვის საჭირო სხვა და სხვა შენობები დაიჭირეს დაახლოვებით ნახევარ მილის მანძილზე. წუხელ იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მარჯვე თავდასხმის შემდეგ რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ

**ლონდონი.** თიბათვის 18. ოფიციალი. დღის განმავლობაში ჩვენ ლანსის სამხრეთისკენ წავიწიეთ. დილით გუშაკურში მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენ მფრინავებს დიდი შეტაკება მოუხდათ მტერთან. ჩამოვაგდეთ მტრის 5 ჰაეროპლანი. 4-ც დაზიანებული ძირს დაეშვნენ. ჩვენმა არტილერიამ ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ერთი ჰაეროპლანიც ჩვენ გვაკლია.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** თიბათვის 19. დღის ოფიციალი. სერნის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლას ადგილობითი ხასიათი ჰქონდა. რეიმსის აღმოსავლეთით რაიონში მტერი ყუმბარებს გვიშენდა. მოულოდნელ თავდასხმამ პრიუნის აღმოსავლეთით გერმანელებს ზარალის მეტი არა მოუტანა რა. მაასის მარცხენა მხარეზე ავაკურის ტყის რაიონში, სიმაღლე „304“ და მორტომზე ინტენსიური საარტილერიო ბრძოლაა. მორტომის დასავლეთით ერთ საყარაულოს გარშემო დიდი ბრძოლა იყო. საყარაულო ხუთჯერ გადავიდ-გადმოვიდა ხან ერთის და ხან მეორის ხელში. დასასრულ ყუმბარებით მიწასთან გასწორებული საყარაულო ორთავე მხარემ მიატოვა.

**პარიზი.** თიბათვის 18. **ხაღამოს ოფიციალი.** სერნი-აილის უბანში მტერი მძიმე ზარბაზნებით ყუმბარებს გვიშენს. სერნის აღმოსავლეთით გერმანელებმა მძლავრ შემოტევის შემდეგ დაიჭირეს ჩვენი ფრონტის უბანი 1500 მეტრის მანძილზე. ჩვენი სიმაგრეები და თხრილები მტრის ყუმბარებმა მიწასთან გაასწორა. ჩვენ ბატარეის საშინელ ცეცხლმაც დიდი ზარალი მიაყენა მტერს, თუმცა, ამისდა მიუხედავად იგი შეტევას შეეცადა. მთელი დღე საარტილერიო ბრძოლა იყო.

**პარიზი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). **ოფიციალი.** სენ-კანტენის ჩრდილოეთით, გრიკურის რაიონში, ჩვენს მოდარაჯეებს მტრის რაზმი დაეცა თავს, მაგრამ ჩვენებმა მალე მოიგერიეს. მაასის მარცხენა მხარეზე ავაკურის ტყისა და მორტომმის შუა საარტილერიო ბრძოლა იყო. მორტომის აღმოსავლეთ კალთებზე მტერმა რამდენჯერმე სცადა შემოტევა, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ხელთ ვიგდეთ 20 ტყვე, მათში 3 აფიცერი. ფრონტის დანარჩენ ადგილებში ღირს-შესამჩნევი არა მომხდარა რა.

**ახლო აღმოსავლეთი.** ორთავე მხარე არტილერიას ამოქმედებს. ალაგ-ალაგ პატრულების შეტაკებაცაა.

**ბელგიის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). **ოფიციალი.** ღამე მტერმა მებორნის სახლის მიმართულებით ჩვენს მოწინავეებზე იერიში მოიტანა, მაგრამ ცხარე ბრძოლით მალე მოვიგერიეთ. სტეენსტრუტეს და ჰეტზასის რაიონებში გერმანელთა არტილერიამ დიდი მოქმედება გამოიჩინა.

**ჰავრი.** თიბათვის 18. **ოფიციალი.** მთელი დღის განმავლობაში რეინინგესა და ბესინგეს შუა საარტილერიო ბრძოლა იყო.

# რუსის ჯარის შეტევა

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 20. **დასავლეთის ფრონტი.** ზოლოჩევის მიმართულებით ჩვენი შეტევა ისევ სწარმოებს. თიბათვის 19. ცხარე და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ზარაისკის პოლკმა ხელთ იგდო სოფელი პრისოვცე, ფინეთის სახელოვანმა პოლკმა და ჩეხ-სლოვაკების რაზმებმა მტრის მიერ გამაგრებული მთიანი ადგილები დაიპყრეს ზბოროვის სამხრეთ-დასავლეთით. დაპყრობილ იქმნა აგრეთვე სოფელი ხორჯილუვი. მტერმა მდინარე სტრიპასკენ სწრაფად დაიხია. ფინელების მიერ წამოყვანილ იქმნა ტყვეთ 1560 აფიცერი და ჯარისკაცი და 4 ზარბაზანი, 9 ტყვიისმფრქვეველი, 1 ნაღმის მსროლელი წამოიღეს. ჩეხ-სლოვაკებმა წამოიყვანეს—62 აფიცერი, 3,150 ჯარისკაცი და წამოიღეს 15 ზარბაზანი და ბევრი ტყვიისმტყორცნელი. იეზეფოვკის დასავლეთით მტრის პოზიციები დავიჭირეთ. თიბათვის 19. ზოლოჩევსკის მიმართულებით წამოვიყვანეთ 6.300 ტყვე აფიცერი და ჯარისკაცები, ხელთ ვიგდეთ 21 ზარბაზანი, 16 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ნაღმის მტყორცნელი. ბრეჟანის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლა ნაკლების სიმკაცრით იყო. ამ რაიონში თიბათვის 18 ის ბრძოლის შემდეგ დაგვრჩა 53 ტყვე აფიცერი და 2,260 ტყვე ჯარისკაცი. დანარჩენ ფრონტის ადგილებში სროლაა.

ფრონტიდან დაბრუნებულ პურიშკევიჩმა ფრონტის მდგომარეობაზე მოხსენება წაიკითხა. შემდეგ სჯა-ბაასში მონაწილეობა მიიღეს მილიუკოვმა, ბუბლიკოვმა და როდიჩევმა. როდიჩევმა განაცხადა: „ჩვენ იმიტომ უნდა ვიარსებოთ, რომ სამშობლოს მთლიანობა დავიცვათო. სახელმწიფო სათათბირო ამ მთლიანობის სიმბოლო უნდა იყოსო. ჩვენ თებერვლის 28-ს და მარტის 1-ს ნამკვიდრალი გვაქს. მათი ხსოვნა არასოდეს არ აღმოიფხვრება რუსის ხალხის გულში. ჩვენ სახელმწიფო საბჭოს წევრები ვართ, ჩვენ ოთხის წლით ვიყავით ამორჩეულნი და ოთხის წლითვე უნდა ვემსახუროთ სამშობლოს კეთილდღეობას. ჩვენ ხმამაღლა განვაცხადებთ, რომ კლასთა ინტერესები კი არა, სამშობლო გვაერთიანებს.

# რევოლუცია

## სათათბიროს წევრნი სათათბიროს დათხოვნის წინააღმდეგნი არიან.

**პეტროგრადი.** თიბათვის 16. (დაგვიანებულია) როძიანკოს თავმჯდომარეობით მუშ. და ჯარისკ. დეპ. საბჭ. ყრილობის რეზოლიუციის გამო, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კრება მოხდა. როძიანკო მოითხოვდა, რომ დროებით მთავრობის მიერ საკითხის განხილვამდის სათათბიროს საბჭოს რეზოლუცია გამოიტანა. რეზოლუციის გამოტანის შემდეგ თავმჯდომარემ საკითხი მოხსნა და როდის იქნება განხილული, არ ვიცით. სათათბიროს წევრმა პეპელიაევმა განაცხადა, რომ რუსეთის ხსნა მხოლოდ მედგარ შეტევაშიაო. ჩვენი მონაწილეობის მიღება ბრძოლაში—აუცილებელია, ამიტომ შულგინმა, ჩიხაევმა, დუროვმა, პეჩცკიმ და პეპელიაევმა ფრონტზე წასვლა გადასწყვიტეს. (ტაში)

სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ხაუსტოვი და რჟევსკი. როძიანკოს დადგენილებით, კომიტეტის შემადგენლობა უნდა გაფართოვდეს 20 წევრამდის. კომიტეტის დამატებით წევრებად ამორჩეულნი არიან: ბუბლიკოვი, ევსეევი, კონოვალოვი, ლვოვი, სავვატეევი, ველიხოვი, თავადი ვასილჩიკოვი და კინდიაკოვი.

## დროებით მთავრობის მიმართვა უკრაინელებს

**პეტროგრადი.** თიბათვის 18. (დაგვიანებულია). მოქალაქე უკრაინელნო! სრულიად რუსეთის სახელით დროებით მთავრობა მოგმართავთ თქვენ: რუსეთი დიდი ტანჯვით მიისწრაფვის თავისუფლების განსამტკიცებლად, რათა ყველა ერს კეთილდღეობა და ნაციონალური უფლებანი მიენიჭოს. რევოლიუცია საფრთხეშია. თუ გარეშე მტერი დაამხობს რუსეთს ან და თავისუფლების მტერი იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას, მაშინ ხომ სრულიად რუსეთის მოსახლე ერთა საქმენი უფსკრულისკენ წარიმართებიან. ყველა მოსალოდნელ საფრთხეთა აცილება და დამფუძნებელ კრების მოწვევა, სადაც რუსეთის ყველა ერი თავის სურვილებს საჯაროდ განაცხადებს—აი მიზანი რომელსაც ისახავს მთავრობა, როგორც რევოლიუციონურ უფლებებით დროებით აღჭურვილი. ეს ივე უნდა იყოს თქვენი მიზანი. მოქალაქე უკრაინელნო! განა თქვენ თავისუფალ რუსეთის ას წილს არ შეადგენთ? განა უკრაინის ბედი მჭიდროდ არ არის დაკავშირებული თავისუფალ რუსეთის თავისუფალ ბედზე?

ვის შეუძლიან ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ რუსეთი მის ყველა ერთა უფლებებს არ დააკმაყოფილებს? სხვა და სხვა წარმომადგენლები ხომ ეცდებიან, რომ დამფუძნებელ კრებაზე სახელმწიფო შემოქმედებით თვით მოწყობის ისეთი წესები შეიმუშაონ, რომელნიც სრულიად დააკმაყოფილებენ მათ ერთა ნაციონალურ ლტოლვილებებს? დროებით მთავრობა უკვე შეუდგა ხალხის ცხოვრებაში კულტურულ თვითგამორკვევის უფლებათა გატარებას. იგი ჰგრძნობს რა უკრაინელებისადმი თავის მოვალეობას, სცდილობს ყველა იმ ტანჯვა-მონობის კვალი წარხოცოს რომლის სიმძიმესაც აქამდის მეტად ჰგრძნობდნენ უკრაინელები. დროებითი მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის უკრაინის იმ დემოკრატიულ ორგანიზაციებებთან შეთანხმებას, რომელნიც ისეთ საშუალებებს მიმართვენ უკრაინელთა მართვა-გამგეობაში, რომელთა მიღება აუცილებელი იქმნება, რომ უზრუნველყოფილ იქმნენ უკრაინელთა უფლებანი, როგორც ადგილობრივ მმართველობაში, ისე თვითმართველობაში, სკოლაში და სასამართლოში,— ისეთ საშუალებებს, რომელნიც უკრაინის თავისუფალ მოწყობისათვის ამზადებენ, რასაც უკრაინის დამფუძნებელი კრება მიანიჭებს. მაგრამ სახელმწიფო ორგანიზმის სრულად გარდაქმნა და სრულიად რუსეთის ჯარის წყობილების შეცვლა კი შეუძლებელია, მით უმეტეს ეხლა, როდესაც გარეშე მტრის წინააღმდეგ უფრო მედგარი ბრძოლა გვეხდება.

ძმანო უკრაინელნო! ნუ წახვალთ დაღუპვის გზით, საერთო სამშობლოს ზურგს ნუ შეაქცევთ, ამ საშინელ წუთების დროს თავს ნუ ანებებთ საერთო ჯარს. ნუ შეიტანთ ხალხში საძმათაშორისო ბრძოლას, მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ძალა სამშობლოს საკეთილდღეოდ მტრისკენ უნდა იქმნეს მიმართული. თქვენის მოუთმენლობით, რომ ეხლავე განამტკიცოთ უკრაინის სახელმწიფო წყობილების ფორმები, სასიკვდილო მახვილს ნუ სცემთ სახელმწიფოს და თქვენს თავს. რუსეთის დაღუპვა—თქვენი დაღუპვაც იქნება. დაე, ყველა ერი თავისუფალ რუსეთისა მჭიდროდ შეკავშირდეს და შინაგან-გარეშე მტრის დამარცხების სურვილით განიმსჭვალოს.

დაე ყველა ძირითად საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას მიანდოს ყველა ერმა, სადაც ყველა თავიანთ ბედ-იღბალს თვითვე გადასწყვეტს

# ქრონიკა

## კავკასია

**სამზადისი დამფუძნებელ კრებისათვის.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოისმინა ნოე რამიშვილის წინადადება შესახებ იმისა, თუ როგორი სამზადისია საჭირო რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის და საჭიროდ სცნო: 1) სწრაფად შეუდგნენ ეხლავე საარჩევნო სამზადისს; 2) საარჩევნო ოლქად ამიერ კავკასიაში აღიარებულ უნდა იქმნას გუბერნია; 3) ამიერ კავკასია არჩევნების მხრივ გამოყოფილი უნდა იქმნას რუსეთის საარჩევნო კომპანიიდან და აქაური არჩევნები თითოულ გუბერნიაში თა-

# პეტერბურგი

რომანი

ანდრეი ბელის

(დასასრული*)

5

აპოლონ აპოლონის ძე აბლეუხოვი, რუსეთის სენატორია. მოდგმა მოაქვს ბდამიდან, მაგრამ მისი ახლობელი წინაპრები სცხოვრობდენ ყირგიზის ურდოში. იმპერატრიცა ანნა იოანნეს ასულის დროს მირზა აბლაი შევიდა რუსულ სამსახურში. ქრისტიანულ წესზე მონათვლის შემდეგ მიიღო სახელად ანდრეი და დაარქვეს უხოვი. შემდეგ ეს მონგოლურ მოდგმის გადმოსული შემოკლებით შეიქნა აბლეუხოვი. ასე ამბობს სენატორზე გეროლდიკა რუსეთის იმპერიის. ეხლა უკანასკნელი მოდგმის წარმომადგენელი აპოლონ აპოლონის ძე აბლეუხოვი არის თავი ერთი დაწესებულების. ერთ ღამეს აპოლონ აპოლონის ძე უკვე სტატსკი სოვეტნიკი, ჩაის სადაგეს, მაგრამ ფორმით გამართლებულ აქტს აუპატიურებს ქალწულს. ძილის ხმარება გრძელდებოდა წელიწადს და ერთ ამ ღამეში ჩაისახა ნიკოლაი აპოლონის ძე, ორ სხვანაირ ღიმილის დროს; ავხორცობის და დამორჩილების. საჭირო იყო ამ საშინელების გაადამიანება, ისინი კი უფრო აცხარებდნენ და როცა უსაზღვროთ გააცხარეს შემდეგ გაიქცენ საშინელებიდან. აპოლონ აპოლონის ძე მართავდა რუსეთის ბედს, ანნა პეტროვნა (მისი ცოლი) იკმაყოფილებდა სქესობრივ ვნებას მანტალინთან (იტალიელ არტისტთან)—ნიკოლაი აპოლონის ძე კი ფილოსოფიაში. ალექსანდრე ივანეს ძე—ტერორისტი-მისტიკოსი, აბელი, რომელიც კლავს, თუმცა ბევრია იმაში კაენისაც, პერანგის შიგნით ატარებს ჯვარს, კედელზე უკიდია ხატი, რომელიც გამოხატავს სერაფიმ საროველის ათასღამიან ლოცვებს ნაძვნარის ქვებზე. მისი ტვინი საშინლად თამაშობს. აქვს პარადოქსალური თეორია კულტურის დარღვევის. პერიოდი ჰუმანიზმის ისტორიამ დაწურა, კულტურის ისტორია, როგორც გამომშრალი თიხა სდგას მის წინ. დგება ახალი პერიოდი ჯანსაღი ცხოვრების, რომელიც მოდის ბნელ ხალხის ძირიდან (ხულიგანობა, აპაშების აღტყინება) არისტოკრატიულ მაღალ წრეებიდან (ხელოვნებათა უკვე დამდგარი წესრიგის წინააღმდეგ ბუნტი, პრიმიტიული კულტურის სიყვარული, ეგზოტიკა) და თვითონ ბურჟუაზიიდან (აღმოსავლეთის ქალების მოდები, კეკ უოკი და ზანგების ცეკვა)., უწინ ის ქადაგებდა უნივერსიტეტების და მუზეუმების დანგრევას, მონგოლების მოწვევას, ნიღაბის მოხსნას და ქაოსთან პირდაპირობას. ლიპანჩენკო გასუქებული პროვოკატორი, სისხლიანი თვალებით და სმერდიაკოვის ავხორცობით. პოდპორუჩიკი ლიხუტინი თავის ცოლით თეთრი გეიშით. აი მომქმედნი პირნი რომანის.

ყველას უკან სდგას პეტერბურგი უსაქმო ჰკუის თამაშით, მტანჯავი, სასტიკი და მოუშორებელი მოჩვენება. ნევა, რომელიც სდუღს ბაცილებით, ვიღაც მწუხარე და გძელი სიზმარში უნახავი უცნობი. ყური რომ დაადვა მიწას, გაიგონებ ალერსიან სისინს, ეს სისინია რევოლვერს ხმის არხანგელსკიდან კოლხიდამდე და ლიბავიდან ბლაგოვეშჩენსკამდე. ქუთაისის თეატრში საზოგადოება ყვირის: მოქალაქენო! და თბილისის უბნის ზედამხედველი აღმოაჩენს ყუმბარებს. ისმის ოქტომბრის სიმღერა 1905 წლის, ეს სიმღერა უწინ იყო და ეს სიმღერა აწი არ იქნება!“

6

აპოლონ აპოლონის ძეს აშინებს სივრცე. იმას უნდა ყველაფერი მოამწყდიოს ოთხ ერთმანეთის პერპენდიკულიარად გადამკვეთელ სივრცეში. მთელ თავის სიცოცხლეს ატარებს ორ საწერ მაგიდის შორის. კაბინეტის და დაწესებულების. მესამე საყვარელი ადგილია სენატორის კარეტა. ბავშვივით უღონო, გალურჯებული ყურებით, ის ლანდია თავის ყვითელი წინაპრების. მაგრამ იმას მინდობილი აქვს ცირკულაცია მოქალაქეების, ის არის თავი ერთი დაწესებულების და რისხვა რუსეთის. თითქო ის არი აკვილონ აპოლონის ძე, მისგან როგორც ჯადოქარ-ქარისგან მიქრიან ცირკულიარები ქალაქებში. მისი მჩატე ტანი იჭერს რუსეთის სიმძიმეს და მისი სიმტკიცე აკურთხა ვიაჩესლავ კ. ფონ პლევემ, რომლის ყუმბარით დაგლეჯილი ტანი ტალახიან სისხლით, სენატორს შიშის ჟრუანტელს გვრის. ამბოხებული მოქალაქენი ძვრებიან ქუჩებიდან და ათასი მრისხანე თვალი აცილებს მის კარეტას. და ამიტომ ის თითქო მიდის შეგნებით ამ კარეტაში, უნდა დაიკეტოს სივრცეში; (რამდენად დამახასიათებელია ამ სივრცის შიშისთვის წერილები პოეტის თ. ტიუტჩევის მეორე ცოლთან, ახლა ხან გამოქვეყნებული, ეს გრძნობა აქ ფიზიოლოგიურად. არი გამოცემული). აპოლონ აპოლონის ძე ჩრდილია ბიუროკრატიულ რუსეთის და ანდრეი ბელიმ შესძლო სწორედ ამ „ლანდის ბიოლოგიის“ გადმოცემა. სენატორის შვილი ნიკოლაი აპოლონისძე კანტიანეცი, უფრო კოგენიანელია. ერთი იმ საჭურისთაგანი, რომელიც კიდევ ელის წვერის ამოსვლას. ერთ გატაცების დროს ის აღუთქვამს პარტიას მამის სიკვდილს, იმას კიდეც გამოუგზავნეს ყუმბარა დაპირების ასასრულებლად, მაგრამ გამოჩნდა, რომ ის ამისთვის ძალიან სუსტია. მამა სძულს შვილს სასტიკად, სძულს რადგან იმაში ისახება მთელი დაწყევლა მემკვიდრეობისა, თითქო ის უკანასკნელი ხეა მონგოლეთის უდაბნოსა, რომლის ერთ შტოს თვითონ შეადგენს და გადასულ საუკუნოებიდან დგებიან წინაპრები.

ჟრუანტელის მომგვრელია ეს დარბაზობა „преподобный монголъ“-ი;

— „ნიკოლაი აპოლონის ძე მივარდა სტუმარს, ტურანელი ტურანელს, როგორც ხელქვეითი უფროსს, აფარებელი რვეულებით ხელში.

— პარაგრაფი პირველი: კანტი (დამტკიცება, რომ კანტიც ტურანელი იყო).

— პარაგრაფი მეორე: ღირებულება, გაგებული, როგორც არაფერი და არაფინ.

— პარაგრაფი მესამე: სოციალური განწყობილება, ღირებულებაზე აგებული.

— პარაგრაფი მეოთხე: დანგრევა არიელთა ქვეყნის ღირებულებათა სისტემით.

დასკვნა. ძველი მონგოლეთის საქმე.

მაგრამ ტურანელი უპასუხებს:

ამოცანა არ არი გაგებული.

კანტის მაგიერ უნდა იყოს პროსპექტი, ღირებულების მაგიერ ნუმერაცია, ეტაჟებით, ოთახებით სამარადისოთ.

ახალი წყობის მაგიერ—მოქალაქეთა პროსპექტის ცირკულაცია ერთზომიანი და ერთ ხაზიანი.

ევროპის დარღვევა კი არა—მისი უცვლელობა.

აი რა არი მონგოლეთის საქმე..,

ასევე ელანდება ტურანელი წინაპრები ტერორისტ-მისტიკოს.

— შიშნარუნე, ენფრანშიშ...

ამ ჰკუის თამაშის გადმოცემა არ შეიძლება. ეს თეთრი კოშმარია და ერთი უძლიერესთაგანი წიგნში. ამის შედარება გაუძლებს ივანე კარამაზოვის გალიუცინაციას. ეს მთელმარე საუკუნოებით ამდგარი მონგოლები, პირველი სახეა დღევანდელი რუსეთის. პანმონგოლიზმი აწუხებდა ვლ. სოლოვიოვს, მაგრამ ანდრეი ბელიმ ეს სხვა გვარად გაიგო. ან. ბელიმ ბოდვაში გამოიტანა ის, რაზეც ასე სასკანდლოთ პუბლიცისტობს დღეს მაქსიმ გორკი.

არის ევროპა და არის მონგოლეთი, როგორც სიმბოლო აზიურ გაჩერებისა, გაქრისტიანებისა. რუსეთი მისი ნამდვილი შვილია, ამ შემთხვევაში რევოლიუციონერი მისტიკი და კანტიანელი კრეტინი სიმბოლიურად აჩენენ რუსეთის შეგნების უღრმეს ძირებს. არ არი არაფერი რაზეც გაჩერდეს ეს ჰკუის თამაში. წინ გაშლილია უდაბნო, სუნთქავს ქაოსი და ცეკვავენ ჰინკები, რუსული რევოლუციაც ამ ჰინკების საქმეა. აქ ანდრეი ბელი და თ. დოსტოევსკი შეხვდენ ერთმანეთს.

7.

„ქაოსის ხველა“ ჯერ ლაფორგმა იმღერა. ედგარ პომ და თ. ჰოფმანმა შექმნეს ახალი კოსმოგონია და ფანტასტიკა ყოფნის. რენბოც იჩემებდა, რომ მეტრი იყო ფანტასმაგორიის. პირველი შეხედვით შეიძლება ამ მწერალთა და რუსების შორის ნათესაობა დაინახოს თვალმა, მაგრამ აქ მსგავსებაზე მეტი წინააღმდეგობაა. ედგარ პოს ყოველთვის ხელში უკავია არიადნას ძაფი, მისი შეგნება არას დროს არ ბნელდება საუკუნოდ; მისი ლანდების სამყარო, დამატებაა ხილული ქვეყნის. ედგარ პო ჟონგლერია ლანდების. სივრცის მომწყვდევა მისთვის უცილობლად საჭიროა და ამას მისთვის ის მნიშვნელობა აქვს, რაც ჩარჩოს აქვს სურათისთვის, როგორც თვითონ ამბობს „შემოქმედების ფილოსოფიაში“. ედგარ პო ოცნებობდა, რომ უკულმა დაეწერა პოემა, ისე, როგორც ჩინელები აშენებენ უკუღმა სახლებს; რამდენი თავის დამტკიცებაა ამაში და შეგნება ფორმისა, მატემატიკის აპოლოგია ედგარ პოსთვის არ იყო პოზა.

ანდრეი ბელისა და მსგავს მწერალთა კი მისივე სიტყვებით:

„ტრაგედია ჩვენი მდგომარეობის იმაშია, რომ საჩივარი ხილულ ქვეყანაში რჩება უშედეგოდ და უნდა მიერთვას მოწიწებით თხოვნა ლანდთა ქვეყანას, მხოლოდ ლანდების ბიოლოგია ჯერ არ არი შესწავლილი.

და ამიტომ ჩნდება „словесный сквознякъ“.

*) იხ. „საქართველო“ № 132.

ვის საკუთარ კომისიას უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო ამ კომისიებისაგან უნდა შესდგეს საოლქო კომისია, რომელიც იქონიებს საჭირო დამოკიდებულებას რუსეთის საერთო საარჩევნო კომისიასთან; 4) ეხლავე მოწვეულ უნდა იქმნას საბჭო. საარჩევნო კომპანიის მოსამზადებლად და საოლქო საარჩევნო ორგანოს დასაარსებლად. აღნიშნულ საბჭოში უნდა მოვიდნენ წარმომადგენლები სხვა და სხვა მომქმედ ორგანიზაციებისა.

✦ **მეზღვაურთა გაფიცვა.** თბილისში მიღებულ ცნობათა მიხედვით, კასპიის ზღვის მენაოსნეთა მუშა-მოსამსახურენი გაფიცულან. ამის გამო კრასნოვოდსკში სურსათი გამოლეულა.

## საქართველო

✦ **ქართველი გრენადერები ავტონომიას მოითხოვენ.** გაზ. „საქართველოს" რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკასიის გრენადერთა მეოთხე დივიზიის ქართველი ჯარისკაცნი და ოფიცრები 1917 წლის თიბათვის 18 შევიკრიბენით და დავადგინეთ შეურთოთ ჩვენი ხმები საქართველოს დემოკრატიულ ტერიტორიალურ ავტონომიისთვის მებრძოლთ. ამოვირჩიეთ კომიტეტი. თავმჯდომარე ექ. ფუფხაძე, მდივანი პატარიძე.

✦ **მეცხვარეთა კავშირის დაარსება.** ქ. ახალქალაქში ქართლ-კახეთის ცხვრის პატრონთა მიტინგზე ამა წლის თიბათვის 11-ს დადგენილ იქმნა, შეჰკრან კავშირი ცხვრის პატრონთა, მათი მეურნეობის საუკეთესოდ მოსაწყობათ. ამიტომ დაადგინეს დაარსონ ქალაქში მთავარი საწყობი მატყლისა და ყველისა და გახსნან კოოპერატივი ამ ნაწარმოებების სავაჭროდ. მთავარ საწყობს ექნება განყოფილებები: ალექსანდროპოლში, ყარსში და სხვა ადგილებში. ამ კავშირს ევალება იშუამდგომლოს ვის წინაშეც ჯერ არს და დაიცვას მეცხვარეთა არსებითი ინტერესები მთისა, ბარისა და გზების შესახებ. მალე დაიწყობა არჩევნები მთავარ კომიტეტისა.

✦ **მისალოცი დეპეშა ვ. გუნიას.** ქართველ მსროლელთა პოლკის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან ვ. გუნიამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ღრმად პატივცემულო იუბილარო! ქართველ მსროლელთა პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცნი გულწრფელად და მხურვალედ მოგესალმებიან თქვენის ოცდახუთმეტი წლის მოღვაწეობის შესრულების გამო. შეურყეველად გვწამს, რომ ამიერიდან თავისუფალი საქართველო დაუბრკოლებლად ისარგებლებს ყველა თქვენი მშვენიერი და საუცხოვო ნაყოფით, რომელიც თქვენ ასე უხვად გაგიღიათ ეროვნული მწერლობისა, მშობლიური სცენისა და საზოგადოებრივი აზროვნების დარგში. ყოველივე თქვენ მიერ ნაღვაწევი ქართველობას შექმნება იმ მტკიცე ქვაკუთხედად და საძირკვლად, რომელზედაც უნდა ელორძინდეს ახალი, თავისუფალი და ფხიზელი ცხოვრება მონობიდან განთავისუფლებული ხალხისა. მაშ მიიღეთ ჩვენგან, ძვირფასო იუბილარო, ნიშნად ღრმა პატივისცემისა თქვენის დაუღალავის და შეუპოვრელის მოღვაწეობისადმი გულახდილი მისალმება, წარმოშობილი ჩვენის მადლობის გრძნობით აღსავსე გულიდან". ამ დეპეშასთან ერთად იუბილარის ფონდის სასარგებლოდ ქართველ მსროლელთა პოლკს კიტა აბაშიძის სახელზე გამოუგზავნია ხუთიათასი (500) მან.

✦ **ბოდბის მონასტრის იგუმენიას გაძევება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მსჯელობა იქონია ბოდბის მონასტრის წინამძღვრის ანასტასიას უწესო საქციელის შესახებ და დაადგინა სთხოვოს სინოდის ობერპროკურორს, რომ ხსენებული წინამძღვარი ანასტასია სავსებით გაძევებულ იქმნას არა თუ მარტო ბოდბის მონასტრიდან, ამიერ-კავკასიიდანაც.

## თბილისი.

✦ **ხმები ფრონტიდან.** გუშინ თბილისში ხმები გავრცელდა ვითომც რუსის ჯარს დიდი ბრძოლა მოეგოს; ამბობენ, ქალაქები კრასნო და გალიჩი რუსებმა აიღეს და ავსტრიელთა ერთი კორპუსი დაატყვევესო.

✦ **ავლაბრის მთავარ-ანგ. ეკლეს. გარშემო.** თბილისის დიაკონთა და მედავითნეთა ორგანიზაცია, გუშინდელ პროტესტის ავტორი, აცხადებს, რომ მას მღ. იაშვილის გადაყენების საწინააღმდეგო არა აქვს რა. იგი წინააღმდეგია მხოლოდ ქართულის არ მცოდნე მღვდლის დანიშვნისა იქ, სადაც შერეული მრევლია და რუსი მღვდელი ქართველ მრევლს ვერ დააკმაყოფილებს.

✦ **სურსათი.** თიბათვის 20-ს ქალაქის სასურსათო კომიტეტს მოუვიდა 20 ვაგ. ფქვილი. სანამ ეს ფქვილი მოვიდოდა, კომიტეტი დიდს დარდს განიცდიდა, რადგან სურსათი სრულებით არ მოიპოვებოდა. ამის გამო კომიტეტმა სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების 7 ვაგონი ფქვილი წამოიღო რეკვიზიციის წესით და მეპურეებს დაურიგა.

✦ **მილიციის უფროსმა კაჩუხაშვილმა** თავის ხელქვეითების საყურადღებოდ ბრძანება გამოსცა, რომ 1) სასაკლაოდან წამოღებული ხორცი დახურული უნდა იქმნას ბრეზენტით ანუ სუფთა ტილოთი, 2) სახლის პატრონები შეუდგნენ ყოველ დღე ქუჩების გასუფთავებას და 3) რესტორანებსა და სავაჭრო სახლებში უთუოდ ღირების მარკა დააკრან გასაყიდულ საქონლის ანგარიშს.

## გლეხთა დელეგატების ყრილობა

თიბათვის 21 ყრილობა

კრების მეორე დღეა, ჯერ პრეზიდიუმიც არ არის არჩეული. დროებით თავმჯდომარე კითხულობს ამიერ კავკასიის რუს გლეხების დადგენილებას, რომელშიც სასტიკ პროტესტს აცხადებენ კერძო პირების წინააღმდეგ, რომელთა წყალობით ეს მეორე დღეა არაფერი გაკეთებულა. ისინი მოითხოვენ, რომ ყოველივე კამათი შესწყდეს და კრება პრეზიდიუმის არჩევნებს შეუდგეს.

თავმჯდომარის მიერ კენჭი ეყარა შემდეგ წინადადებას—თავმჯდომარეთ ერთი იქნას არჩეული თუ რამოდენიმე, უმრავლესობა მომხრეა რომ თავმჯდომარეთ ერთი იყვეს არჩეული.

დასახელებულნი არიან სეპატიო თავმჯდომარეთ ჯაფაროვი, პაპაჯანოვი, ჩხენკელი. პრეზიდიუმში უნდა არჩეულ იქმნას დაახლოვებით 12—13 კაცი, რომ ყოველ ერს და ყოველ სოციალურ პარტიას თავისი წარმომადგენელი ჰყავს, წინადადება შემოაქვთ პრეზიდიუმში წევრები შემდეგნაირად იყვნენ არჩეულნი: მაჰმადიანებიდან 2—3, ქართველებიდან 2, აფხაზებიდან 1, სომხებიდან 2, რუსებიდან 1, ამას გარდა პრეზიდიუმში არჩეულ უნდა იქნას თითო-თითო წარმომადგენელი სოციალისტურ პარტიებისა: სოციალ-დემოკრატებისა 1, ს.-რევოლიუციონერების 1, სოციალ-ფედერალისტებისა 1, დაშნაკცუტუნებისა—1. გაიმართა კერძო კამათები. ყრილობა რამდენიმე შეურიგებელ ბანაკად გაიყო. ერთმანეთს სიტყვას არ აცლიან. საზოგადოდ მიღებულია, რომ ყოველი ამა თუ იმ ორატორის სიტყვა ყველა ადგილობრივ ენაზე გადაითარგმნოს, არ ვიცით რა მოსაზრებით ჩამოაგდეს ძირს სომეხ დაშნაკცუტუნებმა ქართველი მთარგმნელი და შემდეგ თავმჯდომარის თხოვნის გავლენით დართეს ნება, მაგრამ მაშინაც ორატორს აურ-ზაურში მოუხდა თავისი სიტყვის თქმა.

ასახელებენ თავმჯდომარეებად შემდეგთ: ნ. ჟორდანიას, ჯაფაროვს, ნერუჩევს, ბუღურბეკოვს. ჯაფაროვმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. დანარჩენი სამი ნ. ჟორდანია, ნერუჩევი, ბეღურბეკოვი თანახმანი არიან კენჭი იყარონ.

თითქმის ყველაფერი მზად არის თავმჯდომარის არჩევნების დაწყებისთვის, რომ დაშნაკცუტუნები კანდიდატთა სიის წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებს და აცხადებს არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო. სიტყვა ითხოვა სომეხ ინტერნაციონალისტმა. დაშნაკცუტუნებმა აურ-ზაური ასტეხეს—თითქმის ობსტრუქციამდე მივიდნენ, სომეხ ინტერნაციონალისტს სიტყვა გააწყვეტინეს და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს. ობსტრუქციაში მათ შეუერთდნენ რუსი გლეხები. მათ გლეხის სუხორუკოვის პირით პროტესტი განაცხადეს, რომ თავმჯდომარედ დასახელებულნი არიან ს. დემოკრატები, კერძოდ პროტესტს აცხადებენ ნ. ჟორდანიას კანდიდატურის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ, რომ თავმჯდომარის კანდიდატად დასახელებულ იქმნას აგრეთვე ს.-რევოლუციონერები.

კრება კვლავ ორ ბანაკად გაიყო. ერთი ნაწილი (უმთავრესად მაჰმადიანები) ნოეს ოვაციებს უმართავს. მეორე ნაწილი კი განაგრძობს აურ-ზაურს.

სიტყვას თხოულობს სოციალისტ-რევოლუციონერი ბერიოზოვი. კვლავ აურ-ზაურით აწყვეტინებენ სიტყვას. პაპაჯანოვის თხოვნით მას სიტყვას აძლევენ, ამის შემდეგ სხდომა 15 წამით შესწყდა.

**გ. ხაიჩხელი.**

---

და უიალქნოთ ქანაობა ქაოსში.

მეჩექმე ბეზსმერტნი იმავე ბელის ამას ასე უპასუხებს:

— Это оттого, что у нихъ нѣтъ надлежащiхъ понятiевъ"..

პერსონაჟი ანდრეი ბელის რომანისა ხროვაა მარიონეტების. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ არლეკინადაში არ იყოს სიცილი და ხმის დაწვრილება, არის რაღაც არა ადამიანური ნიკოლაი აბლეუხოვის ტანჯვაში; მისი გრიმასები, მისი სახე შეერთდება ანტიური მასკის და გომფაშოს ღიმილის, მისი ისტორია წითელი დომინოსი და მონოლოგი „სარდინიცასი" და ლიპანჩენკოს წუწკი სულის ტირილი.

„და მოუვა თავში ყველა „პროხვოსტს" გედის სიმღერა უკანასკნელი", გედის სიმღერა, ლიპანჩენკომ კედელზე ბოლონჯოების ქუდტაში, რომ იმღერა და ტერორისტის მაკრატელში, გედის სიმღერას, რომ შეწყვეტს.

და მაბიამანისფერ სივრცეში, გვირგვინსანი, გალურჯებული თავით, უზარმაზარი ტანი ფოსფორით აღდგებული „თუჯის მხედარის"..

ამ წიგნში არის თქარუნი თუჯის ცხენის ფეხების, აქ არის სიმძიმე თუჯის მხედარის ათას ფუთიანი ტანისა.

ქარიშხალივით ბრუნდება და მიჰქრის გაგიჟებული მხედარი და შხუნიდან თავს უქრავს მიმფრინავი ჰოლანდიელი; ყველას ძარღვებში შედის გახურებული ფოსფორით და ამასთან ის არის ეფემერობა და ორმაგი ყოფნის სივრცე უკან მისდევს მას...

— Petro Primo, Catherina Secunda..

— „მიჰქრიან წლები და იცვლებიან ტახტზე ნიკოლოზი, შემდეგ ალექსანდრე და კიდევ ალექსანდრე"...

მაგრამ გრიგალი ბრუნდება და თუჯის მხედარი, ისევ ფოსფორით ანთებული, ცხენის ორი ფეხით უცინის უფსკრულს...

8.

ანდრეი ბელის ძალიან უყვარს თავის წერილებში გამეორება ნიცშეს სიტყვების:

— როცა შეხედავ უდაბნოს, უდაბნოც ჩაიხედავს შენ სულში.

და უდაბნომ თითქო ამოწვა მისი სული. რამდენიმე დღის წინ ანდრეი ბელიმ თანამედროვე ცხოვრება შეადარა, იმ მატარებელს, რომელსაც გაუგიჟდა მემანქანე და უფსკრულისკენ შეუჩერებლივ მიჰქრის. ზოგ მგზავრს ეს ვერ შეუმჩნევია, მაგრამ ზოგი იხედება ფანჯარაში, და გაჰყვება შიშით, ფანჯარაში მოჰქრის არყოფნის ქარი და სდგას კორიანტელი საშინელების. იმან უკანასკნელ შემოქმედების ქუსტათ მიიჩნია გაგიჟებული გოგოლის ბუხარში დაწვა თავის სულის „მკვდარ სულებთან" ერთად.

შეიძლება ეს დასკვნა იყოს მართლა რუსეთის სულის?

ის დღე კი, რომელსაც ა. ბელი მოელოდა „პეტერბურგში" უკვე დადგა:

— ადგებიან თავიანთ ადგილებიდან ამ დღეებში ყველა ხალხები ქვეყნისა. იქნება ომი დიდი, უცნობი ომი ქვეყნისთვის. ყვითელი ურდოები აზიატების დაიძრევიან დასახლებულ ადგილებიდან და ევროპის მინდვრებს შეღებავენ სისხლის ოკეანებით.

იქნება, იქნება ცუსიმა, იქნება ახალი კალკა!..

კულიკის ველო, მე შენ მოგელი!..

ბინდება იმ დღეს უკანასკნელი მზე ჩემ მშობელ მიწაზე, თუ მზეო, შენ არ ამოხვალ მონგოლის მძიმე ქუსლიდან დაითელება ევროპის ნაპირები. და ამ ნაპირებზე ახუჭუჭდება ქაფი; მიწაზე დაბადებული არსებანი კვლავ დაილუპებიან ოკეანის ძირში, მშობლიურ და დიდი ხნის დავიწყებულ ქაოსებში.

ამოდგენ მზეო!.."

აქ არი წინათგრძნობა თანამედროვე ომის. რომანი დაწერილია ომამდე.

მართალია როლები შეცვლილია და მონგოლების მაგიერ მოდიან გერმანელები, მაგრამ ეს მაინც ნიშნავს იმას, რომ გამოცდა იქნება.

შესაძლებელია ისე არას დროს არ ყოფილა დაჰმეული „თუჯის მხედარის" ფეხების ძარღვები, როგორც დღეს.

და უკანასკნელმაც გამოაჩინა სიღრმე. მიმფრინავი ჰოლანდიელი შხუნიდან, უყურებს თავის ქალაქს.

არის ის მართლა მოჩვენება და ჰკუის თამაში, თუ იმას აქვს ნამდვილი ყოფნა?..

ანდრეი ბელიმ მიიჩნია ის ეფემერობად. აქ იმან გაიმეორა დოსტოევსკი, მხოლოდ როგორც დარწმუნებულს სლავიანოფილს დოსტოევსკის რუსეთი სჯეროდა. ანდრეი ბელიმ რუსეთიც მიიჩნია ეფემერობათ, ეს დასკვნაა მისი წიგნის. სილოგიზმების თამაშით, გამოდის, რომ რუსეთი არი ნირვანა და როგორც ნირვანა არაფერი.

არის ეს დაცინვა რუსეთის?

ყოველ შემთხვევაში ძალიან ტრაგიულია, ეს წიგნია დანაცრებული შეგნების...

**ტიტე ტაბიძე.**

ოქტომბერი 1916 წ.

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობის დადგენილებანი

### ა. საქართველოს ავტონომია

საქართველოს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ მოისმინა **გიორგი გვაზავას მოხსენება** საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის შესახებ და დაადგინა:

ა) ვინაიდან რუსეთის დიდმა რევოლუციამ და საერთაშორისო განწყობილებამ წამოაყენა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებისა,

ბ) ვინაიდან ქართველ ერს უჭირავს ერთი მთლიანი ტერიტორია და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უწევია თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება,

გ) ვინაიდან საქართველო დაკავშირებული არის რუსეთთან 1783 წლის ტრაქტატით,

ერ.-დემ. პარტია მოითხოვს:

1. უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია*) დემოკრატიულ რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული.

2. ავტონომიის კონსტიტუციას შეადგენს თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.

3. საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრების არჩევაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულ-წლოვანი მოქალაქე განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირის ფარულის და პროპორციული ხმის მიცემით.

4. საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში ცხოვრების ყოველი საგანი, გარდა: ა) ომის და ზავის საკითხისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთთან საერთო კანონმდებლობის კომპეტენციას შეადგენს.

**შენიშვნა:** ქართველი მოლაშქრენი (მილიცია) მშვიდობიანობის დროს სამსახურს საქართველოს საზღვრებში იხდიან.

### ბ. საქართველოს ტერიტორია

საქ. ერ.-დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **პავლე ინგოროყვას მოხსენება** და დაადგინა: საქართველოს ტერიტორიას შეადგენს პროვინციები: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი, რომლებიც მრავალ საუკუნეთა სახელმწიფოებრივის, კულტურულის და ეკონომიურის ურთიერთობით შეკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს. ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს რუსეთის საქართველოში: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმისა და ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები და ჩამონაჭრები, მიწერილი არა-ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა—მიწერილი სოჭის ოლქზე (გაგრის უბანი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა—მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩოლურის და ქვემო-ყარაიაზის ველები) და ქართლის სამხრეთი სანაპიროები—მიწერილი ერევანსა და ყარსზე (ბამბაკი და აბოცი); ხოლო ოსმალეთის საქართველოში: კისკიმი, თორთუმი, ისპირი და ლაზისტანი.

### გ) საქართველოს ფინანსები

საქ. ეროვ. დემოკრ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **მოხსენება გიორგი ჟურულისა** საქართველოს ფინანსებზე და დარწმუნებული რომ საქართველოს ავტონომიის დამყარება და არსებობა ფინანსების მხრივ უზრუნველ ყოფილია, გადადის მიწის საკითხზე.

### დ) მიწის საკითხი

საქ. ერ. დემოკ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **ალექსანდრე ასათიანის მოხსენება** და დაადგინა: საქართველოს ავტონომიურ მმართველობამ უმამულო და მცირემამულიან მკვიდრ მიწის მუშას უნდა აღმოუჩინოს საკმაო მიწის შეძენის საშუალება. ამისათვის:

1. ყოფილ **სახაზინო გლეხების** ყველა ის მიწები (სახლ-კარი, ვენახები, სახნავ-სათესი, ტყე, საძოვარი, მთა და სხვა) როგორც საკომლო, ისე საზიარო—სათემო, რომელიც მათ მფლობელობაში იყო და არის, აღიარებულ იქმნას სრულ მათს საკუთრებათ და მოისპოს ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული (სახელმწიფო-საიჯარო) გადასახადები.

**შენიშვნა 1.** ამავე წესით სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც რუსეთის ძველმა მთავრობამ სახაზინოდ ჩარიცხა, აღიარებულ იქმნას ამ მკვიდრთა სრულ საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

**შენიშვნა 2.** აფხაზეთისა და ზაქათალის მიწის საკითხი უნდა გადაწყდეს თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა.

2. ყოფილ დროებით **ვალდებულ გლეხთა** ყველა ის მიწები, რომელნიც მათი საკუთვნოა, (სანადელო მფლობელობა) აღიარებულ იქმნას სრულს მათ საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე გამოსასყიდი და ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

3. **ხიზნები, მოიჯარადრენი** და მცირე მამულიანი მიწის მუშები დაუბრკოლებლივ ჰფლობენ იმ მიწებს, რომელნიც მათ უჭირავთ, ეს მიწები თუ კიდევ ახალი მიწები ავტონომიის ფონდიდან მათ მიეზომებათ და დაუმტკიცდებათ სრულს საკუთრებად იმ ნორმით და წესით, რომელსაც საქართველოს ეროვნული კრება შეიმუშავებს.

4. ამას გარდა ყველა დანარჩენი: სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცეს საქართველოს ავტონომიას.

5. საქართველოს ავტონომიასვე უნდა გადაეცეს ყოველგვარი სამთამადნო სიმდიდრენი და სამკურნალო წყლები.

**შენიშვნა.** სამთამადნო სიმდიდრენი, წყლები და კერძოდ სამკურნალო წყლები და აგრეთვე ისეთი ტყე და მიწა-წყალი, რომელნიც სახელმწიფოებრივ საჭიროებას შეადგენენ, საქართველოს ხაზინის ხელში უნდა დარჩეს.

6. საქართველოს მმართველობამ იძულებით უნდა გამოისყიდოს საჭიროებისამებრ ხაზინის ხარჯით მემამულეებისაგან ნორმაზე მეტი მამულები, ხოლო ამ მიწების გამოსყიდვისა და მკვიდრ მიწის მუშის ხელში კერძო საკუთრებად გადაცემის წესი და ფასი უნდა შეიმუშაოს ადგილობრივ ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა, რომელთა დადგენილებას საბოლოოდ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

**შენიშვნა.** იძულებით ჩამოსართმევ მამულებში არ შედის ბაღები, ვენახები, პლანტაციები და სხვა კულტურული და სამრეწველო მეურნეობით გაშენებული მიწები.

### ე. საქართველოს ეკლესიათა და სარწმუნოებათა საკითხი.

საქ. ერ.-დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **ხერგო გორგაძის** მოხსენება და დაადგინა:

1. მიესალმოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს ყ.-დ სამღვდელო ლეონიდეს განთავისუფლება საქართველოს ეკლესიისა ასწლოვანის მონობისაგან და თან ეცნობოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სურვილი, რომ განახლებულის ეკლესიის შინაგან მართვა-გამგეობა მოწყობილ იქმნას ფართო კრებით—დემოკრატიულ (წარმომადგენლობითი) საფუძველზე.

2. ის მამულები, რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა, დაუბრუნდეს ქართველ ხალხს სრულ საკუთრებად იმ წესით, რომელიც კონფერენციის მიერ მიღებულია სახაზინო და საუფლისწულო მამულების შესახებ; ხოლო საკითხი სამღვდელოებისა და ეკლესიის უზრუნველყოფისა გადაწყვეტილ იქმნას იმ წესით, რომელსაც შეიმუშავებს სრულიად საქართველოს ავტონომიის დამფუძნებელი კრება საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმებით.

3. სარწმუნოებათა მმართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ისრაელთა დამოუკიდებელია და ავტონომიური.

### ვ) სამაჰმადიანო საქართველო.

საქარ. ეროვ.-დემ. პარტიის ყრილობამ დაადგინა:

1) სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც ძველმა მთავრობამ სახაზინოთ ჩარიცხა, აღიარებულ იქმნას ადგილობრივ მკვიდრთა სრულს საკუთრებად და მოისპოს აგრეთვე ამ მიწებზე ყოველგვარი განსაკუთრებული გადასახადები.

2) აჭარასა და სხვა სამაჰმადიანო საქართველოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საზოგადოთ საქართველოს ყოველ სხვა პროვინციასაც მიეცემა თვისი თვითმართველობა. სამაჰმადიანო საქართველოში ყოველი ზნე-ჩვეულება და ადათი, ისე როგორც სარწმუნოება, მტკიცედ დაცული და ხელშეუხებელი იქნება ავტონომიის კონსტიტუციით.

3) აჭარასა და საზოგადოთ სამაჰმადიანო საქართველოს ნაწილებში ადგილობრივი სამართალი უნდა მოეწყოს თანახმად შარიათის წესებისა.

4) სარწმუნოებრივი მართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ ისრაელთა და ქართველ გრიგორიანთა დამოუკიდებელია და ავტონომიურად მოწყობილი.

—

ამ რეზოლუციათა მიხედვით შესწორდა მთავარი კომიტეტის მიერ შედგენილ პროგრამის სათანადო მუხლები. დანარჩენი ნაწილი პროგრამისა პარტიის ყრილობამ უცვლელად მიიღო.

### ზ) პოლიტიკური მომენტი

(რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება).

საქ. ერ. დემ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **გერონტი ქიქოძის მოხსენება** და დაადგინა:

რუსეთის თანამედროვე რევოლიუცია ბურჟუაზიული რევოლიუციაა, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება უმეტეს შემთხვევაში ბურჟუაზიულ რევოლიუციებსა და ომებთან არის შეკავშირებული. საქ. ეროვნულ-დემოკ. რატიული პარტია იმედოვნებს რომ უკანასკნელი დიდი ომი და რევოლიუცია აღადგენს საქართველოს ეროვნულ უფლებებს.

2) საქ. ერ. დემოკრ. პარტია ეცდება რომ სრულიად საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრებას რეალური ნიადაგი მოუმზადოს ახლო მომავალში.

3) საქ. ეროვნ. დემ. პარტია მხარს უჭერს ახალ დროებით მთავრობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი საგარეო პოლიტიკაში გულწრფელად უარყოფს იმპერიალისტურ მიდრეკილებას, ხოლო შინაგან ცხოვრებაში ხელს შეუწყობს ერთა განთავისუფლებას და დემოკრატიულ წყობილების დამყარებას.

4) საქ. ეროვნ. დემ. პარტია ემხრობა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის იდეიას ერთა განთავისუფლების ნიადაგზე და მოითხოვს რომ სახელმწიფოს საზღვრების შესწორებით საქართველოს დაუბრუნდეს თორთუმი, კისკიმი, ისპირი და ლაზისტანი.

5) საქართველოს საკითხი არ არის მარტო რუსეთის შინაური საკითხი, ის საერთაშორისო საკითხიც არის. საქ. ეროვნ. დემ. პარტია ეცდება რომ ქართველ ერს წარმომადგენლები ჰყავდეს მომავალ საზავო კონფერენციაზე.

6) რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში საქ. ეროვ. დემოკ. პარტია დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებას და საქართველოს ავტონომიას მოითხოვს; ამ მიზნის მისაღწევად იგი შეუკავშირდება რუსეთის დემოკრატიას და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს.

### თ) საქართველოს პოლიტიკური პარტიები

საქ. ეროვ.-დემოკ. პარტიის ყრილობამ მოისმინა **მოხსენება შალვა ამირეჯიბისა** და დაადგინა, რომ ახლანდელ მომენტში შესაძლებელია და აუცილებელიც საქართველოს პარტიების შეთანხმება საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების დასამყარებლად და დაარსება ამისთვის ეროვნულის საბჭოსი.

### ი) საქართველოს მეზობელი ერები

საქ. ერ.-დემ. პარტიის დამფუძნებელ ყრილობამ მოისმინა **მოხსენება გრიგოლ ვეშაპელისა**, მისალმა საქართველოს მეზობელ ხალხთა: მთიელთა, თათართა და სომეხთა ეროვნულ თვითგამორკვევას და აღიარა, რომ პოლიტიკურ და ეროვნულ თავისუფლებათა განსამტკიცებლად და დასაცავად აუცილებელია კავკასიელ ერთა შეთანხმება.

## პური არსობისა და მეთორნეთა გედი

პურის ნაკლებობა ამ ჟამად იმდენად საგრძნობი თბილისში, რომ მაზე ყურადღების მიუქცევლობა ყოვლად შეუძლებელია, როგორც ჩვენგან, ისე, კიდევ უფრო, აქ ურ უშუალოს მთავრობისა, საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტებისა და ქალაქის გამგეობისაგან.

ეს მოვლენა—პურის ნაკლებობა—არ არის განსაკუთრებით თბილისსა და ჩვენს ქვეყანაში. იგი საერთოა თითქმის ყველგან. განსხვავება ის არის, რომ მაგალითად, შიგნითა რუსეთში უფრო მეტი ნივთიერი შეძლება აქვთ პურის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად ვიდრე ჩვენ ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეტი წილი პურის ფქვილი და ხორბალი შემოაქვთ იმავე რუსეთის სოფლებიდან—ჩრდილოეთ კავკასიიდან, ეკატერინოსლავის და ეკატერინოდარის ოლქებიდან და სხვ.

რუსეთი დიდია და ვაკე ადგილი უჭირავს. ერთ ადგილს ბრძოლის ველზე მეტ-ნაკლების სიახლოვის გამო თუ აკლია პური, სამაგიეროთ ათ სხვა ადგილას იგი საკმაოზე მეტია და მრა-

---

*) თვითკანონმდებლობა.

ვალ სანავოსნო მდინარეების და რკინის გზების შემწეობით დროზე მიიღებს პურს.

სულ სხვაა ჩვენში. ჩვენს ქვეყანას ერთად-ერთი რკინის გზის ლიანდაგი აერთებს პურით მდიდარ რუსეთთან და ის ლიანდაგიც გაჭედილია ომისთვის აუცილებლათ საჭირო საქონლითა, ბრძოლის ველზე მიმავალ ჯარითა და ბრძოლის ველიდან მომავალ დაჭრილებით.

ჩვენში პურის შემოტანისთვის მოაცლიან მხოლოდ იმ ვაგონებს, რაც მორჩება სამხედრო საჭიროების საქმეს. ამას ერთვის ის სამწუხარო გარემოება, რომ ხშირად პურით დატვირთულ ჩვენთვის მომავალ ვაგონებს გზას უჭრის და ხანგრძლივ აჩერებენ აქედან მოულოდნელად გაგზავნილი ვაგონები, სავსენი დაჭრილებითა და სახლში, ან სხვა ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცებით, ან და რუსეთიდან აქეთკენ მოულოდნელად გამოგზავნილი მაშველი ჯარით სავსე მატარებლები.

აი უმთავრესი მიზეზი ჩვენში პურის ნაკლებობისა. ეს ნაკლი დროებითია, როგორც დროებითია თვით ეს მსოფლიო ომი, რომელსაც შეიძლება წელს მაინც მოეღოს ბოლო, რაც იქნება ბოლო მოღება თვით ამ პურის ნაკლებობისაც.

ხოლო მანამდი კი საჭიროა ენერგიული მეცადინეობა აქაური მთავრობისა, სასურსათო კომიტეტისა და ქალაქებისა, რომ ის პური მაინც, რაც მოხსენებულ გარემოების მიუხედველად შემოდის ჩვენში და რაც ამ. ცოტა ხანში მოიმკება ჩვენშივე, არსად სხვაგან—მაგალითად სპარსეთში და იმიერ კასპის მხარეს არ გაიგზავნოს და ჩვენშივე სამართლიანად იქ ნას განაწილებული პურის საცხობთა შორის ამა თუ იმ ქალაქის უბნებში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით.

ამ საქმის ერთი წინ წამწევ ღონისძიებათაგანი იქნება პურის საცხობების გამრავლება, ფურნე იქნება იგი თუ თორნე, კოოპერატიული, მუნიციპალური თუ კერძო პირების.

თვით ცხოვრებამ, ომის პირველ ხანებიდანვე უკვე შექმნა კოოპერატიული ფურნეები, ყოველგან ჩვენში. თაოსნობა ეკუთვნოდა ხალხს და მას ადარავის ჩიჩინი აღარ ესაჭიროება იმის ასახსნელად თუ რამდენად სასურველია მისივე არსებობისათვის ამგვარ პურის საცხობის გამრავლება.

ამ მხრით მთავრობასაც და სასურსათო კომიტეტებსაც ჩინებული ნიადაგი აქვთ მომზადებული.

მათგან სრულიად საკმაო იქნება, რომ დაეხმარონ არსებულ პურის საცხობებს—თავდარიგიანობითა და, თუ საჭირო იქნება, ფულითაც. ამ დახმარების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს კოოპერატიულ და მუნიციპალურ პურის საცხობებს, რადგანაც ისინი უფრო უანგაროთ და შეგნებით ემსახურებიან კოოპერატიულ წრეებთ, შეკავშირებულ წევრებს საზოგადოებისას, უფრო კი მისი ღარიბი ნაწილისას.

კერძოდ თბილისი რომ ავიღოთ, აქ არის, ფურნეებს გარდა, 267 თორნე. ყველა მათგანი წავრია პურის მცხობელთა სამი კოოპერატივის—„რაჭის", „რატიანის" და „ქართველ მეპურეთა ამხანაგობის".

თორნეების პატრონები უფრო ხელმოკლე ხალხია და თვითონ აცხობენ პურს, და მთელი მოგება მათ რჩებათ. მეფურნეები კი შედარებით უფრო მდიდრები არიან და პურის ცხობას ნოქრებს ანდობენ. ეს უკანასკნელნი კი დროს შესაფერისად თან და თან მეტსა და მეტს ჯამაგირებს თხოულობენ და პატრონებიც იძულებულნი არიან შეასრულონ მათი მოთხოვნა. ეს გარემოება კი ადიდებს ფურნის პატრონთა ხარჯს და ამცირებს რამდენადმე მათ მოგებას.

იმის მაგიერ, რომ შეურიგდენ ამ დროთა მეფობისაგან მოვლენილ გარემოებას, ან იღონონ რამე შემოსავლის მომატებისთვის ისინი, მოქალაქენი—მეფურნეები, მცირე გამონაკლისს გარდა, მისულან გასაოცარ დასკვნამდე.

14 ამ თვეს იმათ განუცხადებიათ ქალაქის სასურსათო კომიტეტისათვის: 1) დახურეთ თორნეები, 2) რაც მათ პურის ფქვილი ეძლევათ (თითო ვაგონი დღეში) გადმოგვეცით ჩვენ, 3) მოგვიმატეთ გირვანქაზე კაპეიკზე მეტი, თორემ... იძულებულნი ვიქნებით პურის ცხობა შევწყვიტოთო!

ამაზე მეთორნეებს შეუძლიათ უპასუხონ 1) დახურეთ ფურნეები, 2) გადმოგვეცით რაც მათ პურის ფქვილი ეძლევათ და ჩვენ ფას მოუმატებლად გავყიდით პურსო.

უკანასკნელნი, მეთორნეები, უფრო მართალი იქნებოდენ, მაგრამ საქმე მეფურნეებისა და მეთორნეების თქმა და მოთხოვნა კი არ არის, საქმე მცხოვრებთა ინტერესებია.

ფურნეები დაიხურება თუ თორნეები, ხალხი ორივე შემთხვევაში იზარალებს. გამომცხვარ პურის რაოდენობა კიდევ რომ არ შემცირდეს, შემცირდება რიცხვი პურის გასაყიდელ ადგილებისა, დაიკლებს ღირებულება გამომცხვარ პურისა, რადგანაც მოისპობა კონკურენცია (შეჯიბრება) ფურნესა და თორნეს შორის პურის უკეთესად გამოცხობისათვის და გარდა ამისა, რაც უფრო საყურადღებოა, შექმნის პურის ცხობის ერთგვარ მონოპოლიას, ფურნის იქნება თუ თორნის, და თუ დღეს პური 11—12 კაპ. ღირს გირვანქა, მაშინ შეიძლება კიდევ უფრო მოუმატოს ფასი.

რაც შეეხება ნიხრის მომატებას, ეს დამოკიდებულია ფქვილის, შეშის, ბინის და მუშა ხელის ფასებზე და მათ გამოკვლევა და მიჯავრის დადება სასურსათო კომიტეტებისა და ქალაქის გამგეობის საქმეა და ეჭვს გარეშეა, რომ ყოველ შემთხვევაში საქმის ნამდვილ გარემოებით იხელმძღვანელებენ და არა პურის მცხობელთა თხოვნით.

**დასკვნა.** პურის საქმის მოსაგვარებლად საჭიროა: 1) პურის ფქვილი და ხორბალი, რაც მოგვდის რუსეთიდან და რასაც მოგვცემს ახალი მოსავალი, არ იქნას გატანილი სხვაგან, 2) ფქვილიც და ხორბალიც განაწილებულ იქმნას პურის საცხობთა შორის ამა თუ იმ უბნებში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, 3) ღონის ძიება, რომ გამრავლებულ იქმნას პურის საცხობები, უპირატესათ კოოპერატიულნი და მუნიციპალურნი, რადგანაც მათ სიმრავლე უახლოვებს მოხმარებელს ამ საჭირო სანოვაგის ყიდვისთვის, 4) არ უნდა იქმნას შეწყნარებული მეფურნეების მოთხოვნა თორნეების დახურვის შესახებ და 5) ნიხრი თუ მოსამატებელია უნდა მომატებულ იქმნას საქმის ნამდვილ გარემოების ყოველმხრივი გამორკვევის შემდეგ.

ილია ჭყონია.

## უნივერსალი უკრაინისა

**უკრაინის ხალხს უკრაინაში და მის გარეშე მცხოვრებლებს ცენტრალ რადისაგან.**

„უკრაინის ხალხო, სოფლის ხალხო, მუშა მშრომელო ხალხო! შენი სურვილით შევქმენით ჩვენ—უკრაინის ცენტრალი რადა, რომელიც სდარაჯობს უკრაინის მიწის უფლებას და თავისუფლებას.

თქვენმა საუკეთესო შვილებმა, სოფლიდან, ქარხნებიდან და ყაზარმებიდან ამორჩეულებმა-მთელი უკრაინის მიწიდან აგვირჩიეს ჩვენ უკრაინის ცენტრალ რადაში და მოგვანდვეს, უკრაინის ხალხო, შენი უფლებისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლა.

ამორჩეულებმა ასე გამოსთქვეს თავიანთი სურვილი:—დეე უკრაინა იყოს თავისუფალი, განუყოფელი ნაწილი რუსეთისა და მასთან შეკავშირებული. დეე ჰქონდეს უკრაინის ხალხს უფლება, რომ თავის მიწაზე თვითონ განაგოს თავისი ცხოვრება. დეე უკრაინის მართველობის წესი შემუშავებულ იქმნას უკრაინის სახალხო ყრილობის მიერ საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ყველა კანონები, რომლითაც დაცულ უნდა იქნას წესიერება უკრაინაში, გამოცემულ უნდა იქნეს მხოლოდ უკრაინის ყრილობის მიერ. ის კანონები კი, რომლითაც დაცულ უნდა იქნას წესიერება მთელი რუსეთის სახელმწიფო მიწა-წყალზე, გამოცემულ უნდა იქნას სრულიად რუსეთის პარლამენტის მიერ.

არავის არ შეუძლია ჩვენზე უკეთ იცოდეს, რა გვინდა ჩვენ, და რა კანონები იქნებიან ჩვენთვის გამოსადეგი. ჩვენ სოფლელებზე უკეთ არავის არ ეცოდინება თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი მიწა. ჩვენ გვინდა რომ მას შემდეგ რაც ჩამორთმეულ იქნება და ხალხისთვის დაბრუნებული მსხვილი მემამულეების სახაზინო, სახელმწიფო, საეკლესიო და სხვა მამულები, მას შემდეგ, რაც ამის შესახებ გამოცემული იქნება კანონის დადგენილება დამფუძნებელი კრების მიერ,—რომ უფლება ჩვენი მიწით სარგებლობისა, მოწყობისა გვქონდეს ჩვენვე—ჩვენი უკრაინის ყრილობა—სეიმს.

ასე სთქვეს მთელი უკრაინის მიწიდან ამორჩეულებმა და სთქვეს თუ არა ეს ამოირჩიეს უკრაინის ცენტრალი რადა და უბრძანეს მას ხალხის სათავეში დადგომა, მისი უფლებების დაცვა, თავისუფალი ახალი ცხოვრების განმტკიცება და უკრაინის ავტონომიის მოპოვება.

და უკრაინის ცენტრალმა რადამ შეასრულა ნება ხალხისა, აიღო მძიმე ტვირთი ახალი ცხოვრების მოწყობისა და შეუდგა მძიმე საქმის შესრულებას.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ცენტრალი რუსეთის მთავრობა ამ ძნელ საქმეში ხელს გამოგვიწვდიდა და ჩვენთან შეთანხმებით შეეცდებოდა სწორ მართველობის დამყარებას ჩვენ მიწაზე. მაგრამ დროებით მთავრობამ უკუ აგდო ჩვენი თხოვნა და უკრაინის ხალხის მიერ გაწვდილ ხელს თავისი ხელი არ გამოუწოდა. ჩვენ გავგზავნეთ პეტროგრადში ჩვენი დელეგატები—ელჩები, რათა დროებით მთავრობისთვის ჩვენი მოთხოვნილება წარედგინათ. უმთავრესად ჩვენი მოთხოვნილება იმაში გამოიხატებოდა, რომ რუსეთის მთავრობას სახალხოთ, საგანგებო აქტით გამოეცხადებინა, რომ ის არ აღუდგება წინ უკრაინის ეროვნულ ნებას, უკრაინის ავტონომიას, რომ უკრაინის საქმეების შესახებ ყოფილიყო დროებით მთავრობასთან უკრაინის კომისარი, რომ მთელი ადგილობრივი ძალა შეერთებულ ყოფილიყოს ერთი რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის ხელში—ესე გი ჩვენ მიერ არჩეულ უკრაინის კომისარის ხელში. რომ ნაწილი გადასახადისა, რომელიც ცენტრალ ჩვენი ხალხის ხაზინაში მიდის. გადაცემოდა ხალხის წარმომადგენლებს ეროვნულ კულტურული საჭიროებისათვის.

ყველა ეს მოთხოვნილება ჩვენმა ცენტრალმა რუსეთის მთავრობამ არ შეიწყნარა. მან საჭიროდ არ სცნო ეთქვა—სცნობს თუ არა ჩვენი ხალხის უფლებას ავტონომიაზე, მან პასუხი არ მოგვცა და დამფუძნებელი კრების იმედის ანაბარა დასტოვა.

„ცენტრალმა რუსეთის მთავრობამ არ მოისურვა ყოლოდა თანვე ჩვენი კომისარი, არ მოისურვა ჩვენთან ერთად ახალი წესწყობილების განმტკიცება, და აგრეთვე არ მოისურვა დაენიშნა სრულიად უკრაინაში კომისარი, რომ ამითი საშუალება მოგვცემოდა გვემართა ჩვენი მხარე და აგვიკრძალა რომ ჩვენი გადასახადების შემოტანილ ფულებით გაგვეხსნა სკოლები და სწავლა-განათლების ორგანიზაციის საქმე მოგვეწყო და ეხლა უკრაინის ხალხმა გვაიძულა რომ ჩვენ გვეკისრა ჩვენი ნების აღსრულება.

(დასასრული იქნება)

## პალესტინა და ებრაელები

ამ დღეებში დასრულდა მე-7-ე სრულიად რუსეთის სიონისტების ყრილობა. ყრილობამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო.

მე-7-ე სრულიად რუსეთის სიონისტების ყრილობა, იღებს რა სახედველობაში, 1) რომ ტერიტორიას მოკლებული და მთელ დედამიწის ზურგზე გაფანტული ებრაელთა ერი ნაციონალურ-კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისთვის ნორმალ პირობების შექმნას მხოლოდ თავის სამშობლო, პალესტინაში, ავტონომიურ ნაციონალურ ცენტრის განმტკიცებით მოახერხებს, 2) რომ ებრაელები არასოდეს არ სწყვეტდნენ კავშირს თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან და რომ მათი ზნეობრივი და ისტორიული უფლებები პალესტინაზე ყველასათვის ნათელი და მისაღები უნდა იყოს, 3) რომ პალესტინაში ებრაელთა საკოლონიზაციო მუშაობამ ამ უკანასკნელ ათ წლებში ნათლად დაგვანახვა კულტურულ ასაღორძინებლად ებრაელთა მტკიცების ყოფა და შესაფერი ნიჭი, 4) რომ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ლტოლვილებანი ნაციონალურ თვითგამორკვევის, თავისუფლების და ყველა ერის დამოუკიდებლად განვითარების პრინციპებს მთლად ეთანხმება,—ერთ ხმად გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ისინი ვინც მომავალ ნაციონალ-პოლიტიკურ ცხოვრებას საფუძველს ჩაუყრიან, ებრაელთა სურვილებსაც გაუწევენ ანგარიშს. სახელდობრ, ნებას მისცემენ ებრაელებს, რომ თავიანთ ნაციონალურ ცენტრში, თავიანთ სამშობლო პალესტინაში იწყონ ცხოვრება.

ამ ნებისყოფის სრულ და კონკრეტულ გამოსახატად ყრილობამ საჭიროდ სცნო: 1) ებრაელების შორის პალესტინის შესახებ რეფერენდუმის მოწყობა, სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობაზე პალესტინის მოთხოვნის საკითხის დაყენება და 3) სამშვიდობო კონფერენციაზე წარმომადგენლის გაგზავნა.

## ცხვრის პატრონთა მიტინგის დადგენილებანი

1917 წელს თიბათვის 11-ს ჩვენ ქართლ-კახელნი ცხვრის მეპატრონენი, შეკრებილნი მიტინგზე ქალაქ ახალქალაქში (ჯავახეთში, თბილ. გუბერნია), ვიქონიეთ რა მსჯელობა სახელმწიფოს აწმყო მდგომარეობაზე, მომავალში მოსალოდნელ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებზე და ჩვენ პროფესიონალ-ეკონომიურ საკითხებზე, დავადგინეთ შემდეგი:

1) გამოვუცხადოთ სრული ნდობა და ერთგულება ახალს დროებითი მთავრობას და დავეხმაროთ მას ყოველნაირად რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვებაში.

2) დავიცვათ ყველაფერში წესი და მედგრად შევებრძოლოთ ყოველნაირ ანარქიას და კონტრ-რევოლიუციონურს მოვლენას.

3) მოვსთხოვოთ დამფუძნებელ კრებას დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია. უკანასკნელი უნდა შეიცავდეს ახალქალაქის მაზრის იმ ნაწილსაც, რომლის მოსახლეობაც ამას მოითხოვს.

4) მოვთხოვოთ დამფუძნებელ კრებას, რომ კანონის ძალით ჩამოერთვას ყველა მესაკუთრეს მიწა განსაზღვრულ ნორმის ზევით. ჩამორთმეული მიწა იმ მამულების გამონაკლისით, რომელთა მნიშვნელობა საერთო სახელმწიფოებრივია, ადგილობრივ თვითმართველობათა განკარგულებაში გადავიდეს.

5) გადავწყვიტეთ ამიერიდან შევკრათ ქართლ-კახელ ცხვრის პატრონთა კავშირი ჩვენი მეურნეობის საერთო ძალით უკეთესად მოსაწყობად. დღეიდგანვე ვიწყებთ ზრუნვას ჩარჩვაჭრების ასაცილებლად და ჩვენი ნაწარმოების კოოპერატიულად გაყიდვას შევუდგებით.

6) იმის და მიხედვით, რომ ჩვენი საქმე—მეცხვარეობა, როგორც თავის სივრცით, ისე თვისებით საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, რადგანაც ასაზრდოებს რამდენიმე ათას გლეხ მუშას და ამზადებს ყოველ წლიურად ბაზარზედ გასატანად რამდენიმე მილიონ მანეთის ღირებულ მატყლსა, ყველსა და საკლავს, მოვითხოვთ რომ ის მთის საძოვრები ახალქალაქის და ახალციხის მაზრებისა და არტაანის და ყარსის ოლქებისა, რომლითაც უხსოვარ დროიდგან ჩვენ ვსარგებლობდით და დღესაც ვსარგებლობთ, დარჩეს ადგილობრივი თვითმართველობათა კომპეტენციის გარეშე, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილები. რადგანაც ჩვენი ჯიშის ცხვარს მრავალ საუკუნოების განმავლობაში აქვს შეთვისებული ზაფხულობით მთაზე ყოფნის აუცილებლობა და უამისოდ სულ მოკლე ხანში უეჭველად მოელის მას გაწყვეტა.

7) ბარიდგან მთაში ცხვრის გასარეკად აუცილებელი საჭიროებაა აგრეთვე გზა უფრო ფართე, გზის პირის საძოვრებით.

8) შინაარსი ჩვენი დადგენილებისა ეცნობოს დეპეშით ახალი მთავრობის თავმჯდომარეს თავადს ლვოვს და ამიერ-კავკასიის კომისარიატს და თანაც ასლი ამ დადგენილებისა მოთავსებული იქნეს ქართულ და რუსულ გაზეთებში.

9) ეს არის ჩვენი დადგენილება რაზედაც ვაწერთ ჩვენს ხელსა:

ხელს აწერს 65 კაცი.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11.05 | დილ. |
| " | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| " | " | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| " | სამგზ. | № 8, | 8.54 | საღ. |
| " | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.15 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| " | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| " | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| " | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| " | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |


III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება"-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ. რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ, სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ წლიურ ხელის მომწერლებ ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა"), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის" კანტორაში, ბაქოში—სანდრო ჭურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მუშათა საკითხის გამო ამა წლის თიბათვის 15-დან ბარგის მიღება და მიცემა, დოკუმენტების აღება და შემოწმება და ბარგის გამოწერა ქვემორე ნათქვამ დროს მოხდება.

1) სადგურზე ბარგი მიტანით უნდა იქმნეს ზაფხულში (აპრილის 1-დან ღვინობისთვის 1-დინ) დილის 6 საათიდან დღის პირველ საათამდის, ზამთრობით კი (ღვინობისთვის 1-დან) დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის.

2) ბარგის მიღება რკინის გზის მიერ ზაფხულში მოხდება დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის. ზამთარში კი დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდის.

3) ვაგონების დაცლა მოხდება დილის 6 საათიდან დღის 2 საათამდის, ზაფხულობით. ზამთრობით კი დილის 8 საათიდან 4 საათამდის. ამ ხანში 10—11 საათამდის მუშაობა შეწყვეტილი იქნება. უქმ დღეებში კი 6—11 საათამდის.

4) ბარგის წაღება სადგურიდან მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

5) მოწმობების და ქადალდების აღება და შემოწმება გასაგზავნ ბარგისა მოხდება დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის ზაფხულობით, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

6 ბარგის ამოწერა კასებში მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 2 ნახ. საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 3 ნახ. საათამდის.

7) სამხედრო ბარგის ოპერაციები საომარ მოქმედებით გამოწვეული ისევ ძალაშია (მორიგეობა).

8) უბრალო ბარგის (Навалочный) ისევ ისე იქმნება, როგორც იყო (მორიგეობა).

9) ბარგს რკინის გზა არ მიიღებს და პატრონს არ ჩააბარებს შემდეგ დღეებში იანვრის 1 და 6-ში, მარტის 25-ში, აღდგომისა და შობის პირველსა და მეორე დღეებში და იმ საერთო სახალხო დღესასწაულებში, რაიც შეიძლება შემდეგში დაწესდეს. ომის გათავების მერმე კი კვირადღეობითაც.

10) ქვემორე მოხსენებულ დღეებში კი ბარგის საქმე რკინის გზის სადგურზე დილის 8—12 საათამდის იწარმოებს. ასეთი დღეებია: კვირა დღე—ომის დროს, ვნების კვირის ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, თებერვლის 2-ს, მარიამობისთვის 6 და 15-ს, ენკენისთვის 8 და 14-ს, ღვინობისთვის 1 და 22-ს, გიორგობისთვის 21 და ქრისტეშობისთვის 24-ს. ამ დღეებში ბარგის მოტანა დილის 11 საათზე გათავდება. 3—739—2

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგი




ქართლულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

—სუნი და გემოც საამური აქვს— წ.

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—25

თეგზის მრეწველნი

ძმ. ქეზვერლიძენი

პუშკინის ქუჩა, ხაკუშაროს სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ძ. ...-ზეთ, [illegible] ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მ[illegible] ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის [illegible] ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible] და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)